პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 32 (6593)

16 თებერვალი 1980 წ. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

XIII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

# ოლიმპიური თამაშების ცეცხლი აინთო

# საბჭოთა სპორტსმენების წარმატებითი სტარტი

**ლეიკ-პლესიდის** ათი ათასიანი სტადიონი თითქმის პირამდეა სავსე. ფრიალებენ ანძებზე აღმართული თამაშებში მონაწილე 37 ქვეყნის სახელმწიფო დროშები. XIII ზამთრის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნისთვის ყველაფერი მზადაა. ფანფარები ზეიმის დაწყებას იუწყებიან. ცენტრალური ტრიბუნისკენ მიემართებიან აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი უ. მონდეილი, სოკ-ის პრეზიდენტი ლორდი კილანინი და ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ბ. ფელი.

მარშის ხმაზე იწყება მონაწილეთა საზეიმო სვლა. მოდიან (ინგლისური ანბანის მიხედვით), საბერძნეთის, ანდორის, არგენტინის, ავსტრალიის, ავსტრიის, ბელგიის, ბოლივიის, ბულგარეთის, კანადის, ჩინეთის, კოსტა-რიკის, კიპროსის, ჩეხოსლოვაკიის, გფრის, ფინეთის, საფრანგეთის, გდრის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, მონგოლეთის, იტალიის, იაპონიის, კორეის, ლიბანის, ლიხტენშტეინის, ანგოლის, ჰოლანდიის, ახალი ზელანდიის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, ესპანეთის, შვეციის, შვეიცარიის, სსრ კავშირის, იუგოსლავიისა და აშშ-ს სპორტული დელეგაციები.

ოლიმპიადის მონაწილეებს, სტუმრებს ესალმებიან თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ბ. ფელი და სოკ-ის პრეზიდენტი ლორდი კილანინი. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი მონდეილი XIII ზამთრის ოლიმპიადას გახსნილად აცხადებს. მასპინძელი ქვეყნის 10 საუკეთესო სპორტსმენს შემოაქვს თეთრი ოლიმპიური ალამი ხუთი რგოლით. მას ამაგრებენ ანძაზე და ოლიმპიური ჰიმნის მელოდიების თანხლებით აღმართავენ. ცაში ათასობით მტრედი აიჭრა.

სხვადასხვა მხრიდან მოდიან წინა და ახლანდელი ოლიმპიადების — ინსბრუკისა და ლეიკ-პლესიდის დელეგაციები. ინსბრუკის მერი ა. ლუგერი ოლიმპიურ დროშას გადასცემს კილანინს, ხოლო მისგან დროშას იბარებს ლეიკ-პლესიდის მერი რ. პიკოკი. ამიერიდან 4 წლის მანძილზე (მორიგ თამაშებამდე) ოლიმპიური დროშა ლეიკ-პლესიდში შეინახება.

სტადიონზე შემოაქვთ ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც საბერძნეთიდან საჰაერო ლაინერმა ჩამოიტანა. ჩირაღდანი ხელთ უპყრია 44 წლის ექიმ-ფსიქოლოგს ჩ. კერს, რომელმაც სპეციალურ კონკურსში მოიპოვა ოლიმპიური ცეცხლის ანთების უფლება. და აი, XIII ზამთრის თამაშების დაწყების მაცნედ უზარმაზარი ფიალა აინთო. იგი ლეიკ-პლესიდში 12 დღეს არ ჩაქრება.

ცხრაგზის მსოფლიო ჩემპიონი ციგურებით რბენაში ე. ჰაიდენი ამბობს ოლიმპიურ ფიცს. საჰაერო ბურთს ცაში მიაქვს თამაშების მონაწილე 37 ქვეყნის ეროვნული დროშები.

ლეიკ-პლესიდის თამაშები წლევანდელი ოლიმპიური წლის დასაწყისია. ხუთ თვეში 19 ივლისს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში საზეიმოდ აინთება XXII ზაფხულის თამაშების ცეცხლი.

* * *

**სურათებზე:** აინთო ოლიმპიური ცეცხლი; საბჭოთა სპორტსმენები ლეიკ-პლესიდის თამაშების საზეიმო გახსნაზე.

საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.






## სოკ-ის სესიის ერთსულოვანი გადაწყვეტილება

**ლეიკ-პლესიდი.** „სოკ-ის 82-ე სესიის მონაწილე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველა 73 წევრი ერთსულოვნად უჭერს მხარს XXII ოლიმპიური თამაშების მოსკოვში გამართვას, როგორც ეს დაგეგმილი იყო“ — სესიის შედეგების შეჯამებისას პრეს-კონფერენციაზე განაცხადა სოკ-ის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა.

სოკ-მა მიიღო ეს გადაწყვეტილება, მიუხედავად აშშ-ის ადმინისტრაციის ცდებისა ჩაშალოს მოსკოვის ოლიმპიადა და ამით ზიანი მიაყენოს ოლიმპიურ მოძრაობას.

სოკ-ის პრეზიდენტმა დამსწრეთ შეახსენა, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გენერალური ასოციაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის სხდომაზე, რომელიც მეხიკოში ამ თვის დასაწყისში გაიმართა, ერთხმად ურჩია სოკ-ს XXII ოლიმპიური თამაშები ჩაატაროს მოსკოვში.

ლორდმა კილანინმა პრეს-კონფერენციაზე ილაპარაკა სოკ-ის წევრთა მისწრაფებაზე განამტკიცონ ოლიმპიური მოძრაობის ერთიანობა. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ლეიკ-პლესიდში ჩამოსული მრავალრიცხოვანი ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხის გაცემისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოლიმპიური თამაშები გაიმართება მოსკოვში.

მოსკოვის ოლიმპიადის თაობაზე სოკ-ის გადაწყვეტილება შეესაბამება ოლიმპიურ ქარტიას და იმის დამადასტურებელია, რომ სოკ-ის წევრები მისდევენ ამ ქარტიის არსს.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია კვლავ ცდილობს ხელი შეუშალოს ზაფხულის ოლიმპიადა-80-ის ნორმალურად ჩატარებას, მიისწრაფის აშშ-ის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტზე და ცალკეულ სპორტსმენებზე დაწოლით ძირი გამოუთხაროს სოკ-ის გადაწყვეტილებას და ოლიმპიური მოძრაობის ძირითად პრინციპს.

(საკდესი).

## აქაც დუეტმა იმარჯვა

**მოციგურავე** ქალები 1500 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ასპარეზობისას თოვდა, მაგრამ კარგად მომზადებული ბილიკები სპორტსმენებს საუკეთესო შედეგების ჩვენებისთვის განაწყობდა. მართლაც, გ. სტეპანსკაიას ოლიმპიურ რეკორდს (2.16,58) თითქმის 20-მა მონაწილემ გადაამეტა, მათ შორის ყოფილი რეკორდსმენის თანამემამულეებმაც ნ. პეტრუსევამ, ტ. ბარაბაშმა და ვ. ბრინძეიმ, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა მედალი ვერ მოიპოვა. ის კი არა, გუნდს ქულაც ვერ მოუტანეს. მათ შორის საუკეთესომ მსოფლიოს ჩემპიონმა მოსკოველმა ასპირანტმა ნ. პეტრუსოვამ მხოლოდ VIII ადგილის მოპოვება შეძლო — 2.14,15.

მოსკოველმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტ. ბარაბაშმა და კიეველმა დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ბრინძეიმ აბსოლუტურად ერთნაირი შედეგი (2.16,32) აჩვენეს სხვადასხვა გარბენში და XVII-XVIII ადგილს დასჯერდნენ.

მაგრამ ამ დღეს მარტო საბჭოთა მოციგურავეებს როდი უმტყუნათ ბედმა. სერიოზული მარცხი განიცადა ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა, მასპინძელთა გუნდის იმედმა ბ. ჰაიდენმა. იგი ჩასათვლელი ექვსეულის მიღმა აღმოჩნდა.

ყველასთვის მოულოდნელად გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის უფლება მიიღო ჰოლანდიელმა ა. ბოკინკმა — 2.10,95 (ოლიმპიური რეკორდი), ვერცხლი მის თანამემამულეს რ. ფისერს ერგო — 2.12,35, ბრინჯაოსი — ს. ბეკერს (გდრ) — 2.12,38.

## შესანიშნავი დასაწყისი

**ოლიმპიადის** პირველ დღეს მედლების სამი კომპლექტი გათამაშდა. ყველგან ხალხმრავლობა იყო, მაგრამ გულშემატკივართა განსაკუთრებული ყურადღება 30 კილომეტრზე მორბენალი ვაჟების ბრძოლისკენ იყო მიპყრობილი. 58 სპორტსმენი 4 ჯგუფად განაწილდა, ისე, რომ ფავორიტ ქვეყნებს ყველა ჯგუფში ჰყავდა თითო წარმომადგენელი. შეჯიბრების ამ სისტემით ჩატარება ერთგვარად გამორიცხავს მოულოდნელობებს.

ლეიკ-პლესიდში თოვლის უკმარობის გამო შეჯიბრების ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ 10-კილომეტრიანი წრე მოეწყოთ. „ოქროს“ მაძიებლებს წრე სამჯერ უნდა შემოევლოთ. სპეციალურმა მანქანებმა ხელოვნური თოვლით დაფარეს ბილიკები, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ბუნებრივი თოვლიც მოვიდა.

საბჭოთა სპორტსმენები ე. ბელიაევი, ვ. როჩევი, ნ. ბაჟუკოვი და ნ. ზიმიატოვი სხვადასხვა ჯგუფებში განაწილდნენ. წინა თამაშების ჩემპიონი ბაჟუკოვი ჩვენებიდან პირველი ჩაება ბრძოლაში. იგი სტარტიდან რიგით მეათე წავიდა. მე-19 ნომრით გზას გაუდგა ბელიაევი. მეოთხე ათეულში (№ 36) ასპარეზობდა ვ. როჩევი, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი 30 კილომეტრზე რბენაში ნ. ზიმიატოვი 56-ე გავიდა დისტანციაზე.

როცა მონაწილეებმა გზის მესამედი გაიარეს, აღმოჩნდა, რომ ზიმიატოვი (28.31,50) უახლოეს მეტოქეს შვედ ტ. ვასბერგს 13 წამს უგებდა, ხოლო 19 წლის ბულგარელი ი. ლებანოვი, რომელიც მესამე ადგილზე იყო, ლიდერს 20 წამით ჩამორჩებოდა. საბჭოთა სპორტსმენებიდან უძლიერესთა ექვსეულში იყო, აგ-

(დასასრული მე-4 გვ.).

## ლიდერობს რიგელი სტუდენტი

**მოციგაავეთა** საწვრთნელ ვარჯიშებზე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, 24 წლის რიგელმა სტუდენტმა ვ. ზოზულიამ დაამტკიცა, რომ XIII თამაშებზე სერიოზული განზრახვით ჩამოვიდა — წვრთნაზე რამდენჯერმე აჯობა აღიარებულ ფავორიტებს. იგი მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონს მ. ზოლმანს (გდრ) და ექს-ჩემპიონს ე. დემლიაიტნერს (გფრ) ჩამორჩა.

ოფიციალურ პირველ ცდაზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა შესანიშნავი დრო — 38,978 წამი აჩვენა და საგრძნობლად ჩამოიტოვა ზოლმანი — 39,289.

მაგრამ ზოზულია ერთადერთი არ იყო, ვინც ამ დღეს ფავორიტებს სიურპრიზი შესთავაზა. მეორე რიგელმა სტუდენტმა, 20 წლის სპორტის ოსტატმა ი. ამანტოვამ ი. ბრანდს (გდრ) 0,047 წამით გაასწრო და ჯერჯერობით III ადგილზეა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა 21 წლის ა. რიბენამ (რიგა) VIII შედეგი მოიპოვა — 39,617.

ვაჟთა შორის ერთადგილიანი ციგებით დაშვებაში პირველი ცდა დ. გიუნტერმა (გდრ) მოიგო — 43,199. მეორე იყო იტალიელი ე. ხასპინგერი.

* * *

**მოციგაავეებმა** კიდევ თითო ცდა გამართეს. ქალთა შორის 750-მეტრიან ტრასაზე (11 ვირაჟით) ორი დაშვების ჯამში ლიდერობას ინარჩუნებს ვ. ზოზულია, რომელმაც ორი დაშვების ჯამში 1 წუთი და 18,14 წამი დახარჯა. II ადგილზე გადაინაცვლა ი. ამანტოვამ — 1.18,83, შემდეგ მოდიან ი. ბრანდი — 1.18,89 და მ. ზოლმანი — 1.18,92.

ვაჟების 1014-მეტრიან ტრასაზე (14 ვირაჟი) ლიდერია მსოფლიო ჩემპიონი დ. გიუნტერი (გდრ) — 1.26,75. რიგელი დ. ბრიომზე დაზარალდა — მეთორმეტე ვირაჟში წონასწორობა დაკარგა და ორი დაშვების ჯამში მესამედან ოცდამეხუთე ადგილზე გადაინაცვლა.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — ცხოვრებაში!

**ამ დღეებში** პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება **„მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ"**. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში ღრმად არის გაანალიზებული რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა და დასახულია საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვისთვის აუცილებელი ღონისძიებები.

„მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, — აღნიშნულია დადგენილებაში, — როგორც თავისი გაქანებითა და მიმართებით, ისე სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის გამოყენების მხრივ, ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მაღალ მოთხოვნებს". იქვე ნათქვამია, რომ „სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომები, საქართველოს კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და ადგილებზე მისი ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად აკონტროლებენ საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების პედაგოგ-ორგანიზატორთა საქმიანობას მოსახლეობასთან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში".

სწორედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა **თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სხდომა**, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების წარმომადგენლები, პედაგოგ-ორგანიზატორები.

**ამასთან დაკავშირებით ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა კიროვის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ავთანდილ კანდელაკი:**

# ფართო პერსპექტივა

— დღევანდელ პირობებში, როცა მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ყოფა-ცხოვრების წესი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი შესამჩნევად გაიზარდა. ნორჩ თაობას, მოსწავლე ახალგაზრდობას, წარმოება-დაწესებულებაში დასაქმებულ ადამიანებს ახლა, როგორც არასდროს, ესაჭიროება აქტიური დასვენება, სანაომოო ტანვარჯიში, ტურიზმი, სპორტული თამაშობანი. საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლა ამ დიდი საქმის ერთ-ერთი მთავარი უბანია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული საცხოვრებელ ადგილებზე მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში არსებული ხარვეზები და მითითებულია მათი გამოსწორების გზებიც. ეს დოკუმენტი, ეჭვგარეშეა, ხელს შეგვიწყობს მუშაობის ახლებურად წარმართვაში.

უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების შემდეგ, როგორც მთელ რესპუბლიკაში, ასევე ჩვენს რაიონშიც შეინიშნება სასიკეთო ძვრები ფიზიკური კულტურისა და სპორტის თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრების საქმეში. ეს საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მუშაობასაც ეხება. მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზკულტურელთა და მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა რიცხვი, რეგულარულად ტარდება ისეთი მასობრივი ღონისძიებები, როგორიცაა „მხიარული სტარტები", „ტყავის ბურთის" პრიზების გათამაშება, „ჯანმრთელობის სპარტაკიადა", „მამათა და შვილთა" შეჯიბრება. რაიონის ფიზკულტურელები გარკვეული წარმატებით გამოდიან საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან გახსნილია გამოჩენილ სპორტსმენთა 3 კლუბი, სადაც 400-ზე მეტი ბავშვია გაერთიანებული.

საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურული მუშაობის გაშლისთვის, პირველ ყოვლისა, სპორტული ბაზებია საჭირო. ამ მხრივ მდგომარეობა, სამწუხაროდ, ვერ გვაქვს სახარბიელო, თუმცა მარტივი ტიპის რამდენიმე სპორტული მოედანი უკვე ჩადგა მწყობრში, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა არსებულ ბაზებზე. მალე ექსპლოატაციაში შევა სასკოლათაშორისო საცურაო აუზი, რაც ხელს შეუწყობს ცურვის სწავლების გაუმჯობესებას და მშთ-ს ნორმატივების ჩაბარებას.

რა თქმა უნდა, ნაკლოვანებებიც საკმაოდ გვაქვს და ამის თაობაზე ჩვენს სხდომაზე მკაცრად ითქვა. გადაწყვეტილება, რომელიც აქ იქნა მიღებული, ბევრი ღონისძიების ჩატარებას ითვალისწინებს. პირველ რიგში საბინაო - საექსპლოატაციო კანტორებს უნდა მივხედოთ. ბევრგან პედაგოგ-ორგანიზატორები სუსტად უძღვებიან დაკისრებულ საქმეს, ვერ რაზმავენ აქტივს საცხოვრებელ ბინებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაშლელად, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ უფროსი ასაკის ადამიანებთან მუშაობას, ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას. გადაწყვეტილი გვაქვს 51-ე და 52-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან გამოჩენილ სპორტსმენთა სახელობის სპორტული კლუბების გახსნა, ბავშვთა საჭყუმპალაოს აშენება 71-ე საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე, კომპლექსური სპორტული მოედნის მოწყობა ფონიჭალის დასახლებაში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე ლექცია-საუბრების ჩატარება, გამოჩენილ სპორტსმენებთან შეხვედრების გამართვა. რაიონის საბინაო სამმართველოს დაევალა უახლოეს დღეებში შეიმუშაოს საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების 1980-81 წლების კონკრეტული გეგმა.

ბოლოს ისევ ზემოთქმულს მინდა დავუბრუნდე: მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვა ახლა სახელმწიფოებრივ საქმედაა მიჩნეული და ჩვენც ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად წარვმართოთ მუშაობა.

## სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა





# არის კიდევ ერთი სპორტული კომპლექსი!

**საქართველოში** ბევრი რონდია სპორტული ბაზებით ისეთი მდიდარი ფიზკულტურული კოლექტივი, როგორიც ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმია (დირექტორი გ. შონია).

ამას წინათ აქ საზეიმოდ გაიხსნა შესანიშნავი სპორტული დარბაზი, რომელშიც შეუძლიათ ივარჯიშონ კალათბურთელებს, ფრენბურთელებს, ხელბურთელებს, ტანმოვარჯიშეებსა და სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სპორტდარბაზს მაყურებელთათვის განკუთვნილი ტრიბუნაც აქვს და ამდენად, მას შეუძლია რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებსაც უმასპინძლოს.

მეურნეობა-ტექნიკუმს აქვს სტადიონიც. ამას გარდა, შენდება 25-მეტრიანი საცურაო აუზი.

ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის სპორტული კომპლექსი დღესდღეობით საუკეთესოა ზუგდიდის რაიონში. როცა საცურაო აუზიც აშენდება, მაშინ იგი ჭეშმარიტად სრულყოფილი კომპლექსი გახდება.

სწორედ ამიტომ „კოლმეურნეს" ცენტრალურმა საბჭომ მეურნეობა-ტექნიკუმის ბაზაზე იანვრიდან ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლა ჩამოაყალიბა 12 საშტატო ერთეულით, რომელიც მალე შეუდგება მუშაობას.

აქვე უნდა ითქვას, რომ მეურნეობა-ტექნიკუმის ფიზკულტურელები (უფროსი ფიზკულტურის მასწავლებელი გ. გვილავა, მეთოდისტი — კ. გვარამია) საუკეთესონი არიან რაიონში და ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაში.

**ე. მელიქიშვილი.**

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** სპორტული კომპლექსის გარე ხედი; ასეთია დარბაზის ინტერიერი; ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის სტადიონის ერთი ნაწილი; საცურაო აუზის მშენებლობაზე.

ავტორის ფოტოები.





# საჩუქარი ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის ახალგაზრდებსა და სპორტსმენებს

● ციგაობა

## მეორე ადგილზე

**ცესისში** ერთ კვირას გრძელდებოდა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდური თასის გათამაშება ციგაობაში. ყველას აჯობა „ვარპას" ნაკრებმა.

პირად პირველობაში იუნიორთა შორის კარგად გამოვიდნენ ბაკურიანელები (დ. ჭეშმარიტაშვილი და თ. გაგლოევი („შრომითი რეზერვები"), რომლებმაც ორადგილიანებით დაშვებაში II ადგილი მოიპოვეს — 1.35,446. იმარჯვა „ვარპას" დუეტმა — (ნ. ტაშკანსი და ა. ვევერისი) — 1.34,723.

გოგონებში ერთადგილიანებით რბოლა მოიგო არმიელმა ი. მიზგამ. ქალთა შორის უძლიერესი გახლდათ ა. მაევსკაია („ბურევესტნიკი"). ვაჟებში ყველას აჯობა ი. ეისაკსმა („ვარპა"), ხოლო იუნიორებში — ვევერისმა. „ვარპას" დუეტის გამარჯვებით დამთავრდა ვაჟების ორადგილიანებით დაშვება. ე. იაკობსონმა და ი. კოკორევიჩმა საუკეთესო დრო (1.30,248) აჩვენა.

● ძიუდო

## მასპინძლობენ დინამოელები

**ვ. ი. ლენინის** სახელობის „დინამოს" სტადიონის საჭიდაო დარბაზში დამთავრდა რესპუბლიკის ახალგაზრდა დინამოელთა (1961-62 წწ. დაბადებულთა) პირველობა ძიუდოში. სასპარეზოდ გამოვიდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და მესტიის 55 სპორტსმენი. კარგი შედეგები აჩვენეს თბილისელმა და ქუთაისელმა მოჭიდავეებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: რ. ჩხოტუამ (სოხუმი), მ. ნაცვარაშვილმა (ქუთაისი), ზ. გობოზოვმა (თბილისი), ტ. მამრიკიშვილმა (ქუთაისი), ა. ხვადაგიანმა, ნ. შპეტიშვილმა (ორივე — თბილისი), ა. კიბორძალიძემ (ქუთაისი).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შედგა საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრები, რომელიც 20-24 თებერვალს „დინამოს" საკავშირო პირველობაზე (ლენინგრადი) იასპარეზებს.

**ბ. თათეიშვილი.**

# სამი „ვერცხლი“ ორი „ბრინჯაო“

**რა გვიჩვენა სსრ კავშირის 49-ე ჩემპიონატმა კლასიკურ ჭიდაობაში?**

**როგორც** ვიტყობინებოდით, მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის 49-ე ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ცსკა-ს სპორტული კომპლექსის სარბიელზე, სადაც 5 თვის შემდეგ ოლიმპიელები იასპარეზებენ, ქვეყნის 216-მა უძლიერესმა ფალავანმა მოსინჯა ძალა. ტურნირმა მწვრთნელებს, ჭიდაობის სპეციალისტებს საშუალება მისცა გამოევლინათ ათლეტთა მომზადების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრების უფროს მწვრთნელს დ. დავითაიას და სთხოვა მოეთხრო ჩემპიონატის შედეგებზე, ქართველ სპორტსმენთა გამოსვლაზე.**

— როგორც ცნობილია, მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატები ხან რესპუბლიკებს შორის ტარდება, ხან კიდევ — სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის. წლეულს ნაკრები გუნდები სწორედ სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა გამოიყვანეს. ასე რომ, ქართველი მოჭიდავეები თავიანთი სპორტსაზოგადოებების საწვრთნელ შეკრებებზე ემზადებოდნენ ამ ჩემპიონატისთვის. სულ ჩვენი რესპუბლიკის 14-მა წარმომადგენელმა იასპარეზა მოსკოვის ხალიჩაზე. სამი მათგანი (თემურ აფხაზავა, მიხეილ სილაძე, შოთა მორჩილაძე) „ვერცხლის“ პრიზიორი გახდა, ხოლო ორმა (ვახტანგ ბლაგიძე, ნიკო ბაბიაშვილი) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მათ გარდა ექვსეულში კიდევ სამი მოჭიდავე მოხვდა (თემურ ყაზარაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ავთანდილ მასურაძე). თუ 1978 წლის მაჩვენებელს შევადარებთ (ვერცხლისა და ბრინჯაოს 2-2 მედალი), წლეულს ქართველმა მოჭიდავეებმა უკეთესი შედეგი აჩვენეს, თუმცა მათი გამოსვლით კმაყოფილი მაინც არა ვართ.

ჩვენი მოჭიდავეებიდან პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნო შოთა მორჩილაძის გამოსვლა. შოთამ 6 შეხვედრიდან 5 მოიგო და მხოლოდ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან, კიეველ ალექსანდრე კოლჩინსკისთან დამარცხდა. ბოლო პერიოდში მორჩილაძეს დაღლა დაეტყო და პასიურობისთვის მესამე გაფრთხილება მიიღო.

52 კგ წონით კატეგორიაში მთავარ ფავორიტად, რა თქმა უნდა, ვახტანგ ბლაგიძე ითვლებოდა. მართალია, ბლაგიძე შარშან ჩრდილში მოექცა, მაგრამ ახლა კვლავ ჩვეულ ფორმაშია და ეს წინასწარ შეხვედრებშიც დადასტურდა. ვახტანგმა ზედიზედ 5 შეხვედრა მოიგო წმინდად და ფინალში 0 საჯარიმო ქულით შევიდა. აქ მისი მეტოქე ერევნელი ფაშაიანი იყო. მსოფლიოს ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის ტოლი არ დაუდო ბლაგიძეს. თუმცა ორთაბრძოლის დასაწყისი ვახტანგის სასარგებლოდ წარიმართა (პირველი პერიოდი მოიგო ანგარიშით 6:3), მაგრამ მას შემდეგ, რაც მსაჯებმა ლამაზი გდება არ ჩაუთვალეს, იგი ანერვიულდა, მარცხენა ხელის ტრავმაც მიიღო და საბოლოოდ დამარცხდა. ბლაგიძემ მომდევნო შეხვედრაშიც (ჩიქაევთან) მარცხი იწვნია და III ადგილზე აღმოჩნდა.

საინტერესო გამოდგა ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა ასპარეზობა. გამარჯვებას, რა თქმა უნდა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, მოსკოველ ნიკოლოზ ბალბოშინს უწინასწარმეტყველებდნენ. საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა მართლაც რომ ჩინებულად იჭიდავა — 6 შეხვედრა ვადაზე ადრე მოიგო და ჩემპიონი გახდა. ფინალამდე ბაბიაშვილიც 0 საჯარიმო ქულით მოვიდა, სალაძეს 5 საჯარიმო ქულა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ბაბიაშვილმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ბალბოშინს. ამ უკანასკნელმა მხოლოდ ქულის აღება მოახერხა და გაიმარჯვა. სალაძე — ბაბიაშვილის ფინალურ ორთაბრძოლაში უპირატესობა სალაძის მხარეს იყო (ბაბიაშვილი პასიურობდა და 3 გაფრთხილება მიიღო). ახლა ბევრი რამ იყო დამოკიდებული სალაძე — ბალბოშინის პაექრობაზე. ქართველი მოჭიდავე წმინდად დამარცხდა. მას ვერცხლის მედალი გადაეცა, ბაბიაშვილს — ბრინჯაოსი.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს უმძიმესი წონის მოჭიდავემ, რუსთაველმა თემურ ყაზარაშვილმა და ქუთაისელმა თემურ აფხაზავამ (82 კგ). ყაზარაშვილმა კარგად დაიწყო ტურნირი, ზედიზედ 3 შეხვედრა მოიგო, მაგრამ გამოცდილება არ ეყო, ბოლო 2 ორთაბრძოლა დათმო და საბოლოოდ V ადგილზე გავიდა. ეს 21 წლის მოჭიდავე უაღრესად ტექნიკურია და მებრძოლის ხასიათი აქვს. თემურ აფხაზავამ პირველი ოთხი წრე დაუმარცხებლად გაიარა. შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონს გენადი კორბანს შეხვდა, დამარცხდა და II ადგილზე დარჩა. აფხაზავაც ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა შორის ჩარიცხეს.

ცუდად არ გამოსულა გურამ მაჭარაშვილი (62 კგ). იგი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მეექვსე იყო, ახლა კი ერთი საფეხურით წაიწია წინ. თავიანთ შესაძლებლობებზე დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ ზაალ ყუბუსიძეს (82) და თამაზ წინწალაშვილს (74). გულდასაწყვეტია მალხაზ ლეჟავას (90) მარცხიც. იგი შეუძლოდ იყო, ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და გამოეთიშა შეჯიბრებას. ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას იოსებ ბერიშვილზეც (82). ამ მოჭიდავეს დიდი ხანია ტრავმები აწუხებს. ბოლო პერიოდში შედარებით მომჯობინდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სპორტული ფორმა მთლიანად ვერ აღიდგინა. იოსებ III წრეში გამოეთიშა ასპარეზობას.

მოსკოვის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. ნაკრების კანდიდატები ახლა უფრო ინტენსიურად შეუდგებიან მზადებას. რა თქმა უნდა, ქვეყნის ნაკრები გუნდის ძირითადი შემადგენლობა ჯერ დადგენილი არ არის. წინ კიდევ რამდენიმე დიდი შეჯიბრებაა და ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ უფრო გამოიჩენს თავს წინაოლიმპიურ ტურნირებში. ერთი ასეთი შეჯიბრება — პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირი — 13-18 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ მასში მონაწილეობის სურვილი უკვე 18 ქვეყნის მოჭიდავეებმა გამოთქვეს.

● თანამედროვე ხუთჭიდი

# თასი დინამოელებს

**თბილისის** სპორტულ ბაზებზე ხუთ დღეს გრძელდებოდა საქართველოს თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ ნაკრები გუნდები. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო დინამოელი ა. რეშეტოვი (5400 ქულა), II-III ადგილებზე შესაბამისად ი. ბრიზგალოვი („დინამო“, 5380) და ს. მაკაროვი („დინამო“, 5295) გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: „დინამო“ — 15743 ქულა, „ბურევესტნიკი“ — 14882, „სპარტაკი“ — 12713.

პარალელურად გაიმართა იუნიორთა შეჯიბრება, სადაც უძლიერესი იყო თბილისის 147-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გ. მგელიაშვილი („დინამო“, 4934 ქ), მომდევნო საპრიზო ადგილებზე ვ. პანკოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და გ. გოგოლაძე (65-ე პროფტექნიკური სასწავლებელი) გავიდნენ.

**ა. კოტორაშვილი.**

* * *







**სურათებზე:** იუნიორები კროსის დისტანციაზე; საქართველოს თასის მფლობელი ა. რეშეტოვი; იუნიორებში პრიზიორები (მარცხნიდან): გ. მგელიაშვილი, ვ. პანკოვი, გ. გოგოლაძე.

ავტორის ფოტოები.

# ფუძე ჩვენი ძლიერებისა

**იმრავლოს სპორტულმა ოჯახებმა!**

**ოჯახი** ქვეყნის ძლიერების საფუძველია, — უთქვამთ ჭკვიან ადამიანებს; ხოლო თუ ამ ფორმულის ცალკეულ მაჩვენებლებს ჩავუკვირდებით, უეჭველად მივიღებთ მათგან გამომდინარე ახალ ფორმულას — სპორტული ოჯახი ქვეყნის სპორტული ძლიერების საფუძველია და მართლაც, სულ ახლო წარსულში განა ჩვენი სპორტული ოჯახები არ ქმნიდნენ სასურველ ამინდს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში? მე მხოლოდ წმინდა სპორტული წარმატებები როდი მაქვს მხედველობაში. სპორტული ოჯახები, მათი სპორტული ტრადიციები საოცარი ძალით ზემოქმედებდნენ სხვებზე. ისინი სპორტის უებარ, ცოცხალი პროპაგანდის კერებად იქცნენ. ვინ იცის, რამდენი ტანმოვარჯიშე ეზიარა სპორტის ამ ელეგანტურ სახეობას ნიკოლაძეების, ეგნატაშვილების, ზაალიშვილების, ჯორჯაძეების, ჯულელების, შარაბიძეებისა და სხვა ოჯახების მადლით. სარბენი ბილიკებისა და სახტომი სექტორისაკენ ბევრ ახალგაზრდას გაუნათა გზა დუმბაძე-დიაჩკოვების, გოკიელების, ტულუშების ოჯახების მაგალითმა: ცხოველმყოფელი ძალით გვეხმარებოდნენ და გვეხმარებიან ფეხბურთელების — პაიჭაძეების, ჯეჯელავების, ბერძენიშვილების, მაჩაიძეების, მთამსვლელების — ხერგიანების, ჩართოლანების, გუგავების, მოჭიდავეების — მაჩაბელ-ციმაკურიძეების, ილურიძეების, გზირიშვილების, კაციაშვილების, მაისურაძეების, ელერდაშვილების, გოგიბედაშვილების, ჩოგბურთელების — სერებრენიკოვების, ელერდაშვილების, წყალბურთელების — მშვენიერაძეების, კალათბურთელ ქორქიების, მოკრივე დარბაისლებისა და სხვათა ოჯახები.

ბევრი იყო საქართველოში ნაკლებად გახმაურებული ოჯახები, რომლებსაც თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ქართული სპორტის წინსვლა-წარმატებაში. ერთი ასეთი ტიპიური ოჯახის შესახებ გაზეთმა „ლელომ“ ამცნო მკითხველს. ეს იყო ჭიათურელი ფიზკულტურის მასწავლებლის იაშვილის ოჯახი, რომლის სამმა ვაჟმა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და ახლაც საქმით გამოხატავენ ჩვენი სპორტისადმი სიყვარულს.

იტყვიან ხოლმე: წავიდა ის დრო, ახლა სპორტული ოჯახები, ფაქტიურად, თითებზე დაითვლებაო. ასეთი არასასიამოვნო აზრი ალბათ ქართული სპორტის ბევრ გულშემატკივარს აწვალებს. მეც სინანულით დავფიქრებულვარ ამაზე. მაგრამ უკანასკნელ ხანს, როდესაც გამიხშირდა მიმოსვლა რესპუბლიკის რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებში და უფრო ახლოს გავეცანი მდგომარეობას, თურმე არც ისე უიმედოდ ყოფილა საქმე. მთავარი ისაა, რომ ჩვენ კარგად არ ვიცნობთ და ძალზე ცოტას ვწერთ ამ ოჯახებზე, მათ სპორტულ ტრადიციებზე; მოსახლეობა, მკითხველი ნაკლებად იცნობს მათ საქმიანობას.

ჩემი ვარაუდი საფუძველს რომ არაა მოკლებული, მინდა ერთი სპორტული ოჯახის შესახებ თხრობით დავადასტურო.

* * *

1978 წლის ივნისი იდგა. მოსწავლეთა XXX რესპუბლიკური სპარტაკიადის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (ნიჩბოსნები) მცხეთას ეწვია. მტკვრის ნაპირები ფერადი ტრანსპარანტებით იყო მორთული. მსაჯ-ინფორმატორის მოტორიან ნავში მოვთავსდი და მთელი შეჯიბრების მსვლელობა. ცალკეული შედეგები უმალ ცნობილი ხდებოდა ჩემთვის. გოგონები და ბიჭები თავს არ ზოგავდნენ, ძალუმად ამუშავებდნენ ნიჩბებს; იყო გამარჯვების ღიმილი და დამარცხების სევდა. დამამახსოვრდა ბევრი მონაწილის ბედნიერი სახე, მაგრამ ერთმა ბიჭუნამ განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება, და აი რატომ:

— 1962 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის 1000 მეტრზე კანოეთი გაცურვაში გაიმარჯვა მცხეთის წარმომადგენელმა ივანე ბერიძემ! — გამოაცხადა ინფორმატორმა.

ცოტა ხნის შემდეგ ფინიშთან გამარჯვებული გამაცნეს. გამიკვირდა, როცა მის სახეზე სიხარულის ნაცვლად შეშფოთება შევამჩნიე. მთელი მისი ყურადღება სტარტისაკენ იყო მიპყრობილი. ამიხსნეს: ახლა მისი ძმა, 1963 წელს დაბადებული გიორგი გამოდის კანოეზეო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ინფორმატორმა საზეიმოდ გამოაცხადა გიორგის გამარჯვებაც.

ორი ძმა, სპარტაკიადის ორი ჩემპიონი ერთი ოჯახიდან! მართლაც სასიამოვნო ფაქტის მოწმე გავხდი მაშინ. მაგრამ გავიდა ერთი წელიც და ამ ოჯახმა მესამე სიურპრიზიც შემოგვთავაზა. ფოთში გამართულ რესპუბლიკურ პირველობაზე, ისევ კანოეთი გაცურვაში, მეორე ადგილი დაიკავა ივანესა და გიორგის მესამე ძმამ, 11 წლის რამაზმა. ამასთან, იგი 3-4 წლით უფროს მეტოქეებთან პაექრობდა.

მოვინახულე ეს ოჯახი. მიმესვლებოდა კიდეც — ოჯახის მამამ აპოლონ ბერიძემ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი დაამთავრა 1960 წელს და ჩემთვის, როგორც ლექტორისთვის, ბევრჯერ მოუტანია სიამოვნება კარგი სწავლითა და სპორტული შემართებით. იგიც კანოეთი ნიჩბოსნობაში გამოდიოდა, იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ქვეყნის მესამე პრიზიორი, შეიარაღებული ძალების ჩემპიონი, სპორტის საპატიო ოსტატი, შვილების გამარჯვების ჟამს იგი უკვე მცხეთის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით მცხეთის სპორტულმა ორგანიზაციებმა შესამჩნევი წარმატებები მოიპოვეს. ამ პატარა რაიონიდან რესპუბლიკის ნაკრებში 40 სპორტსმენი შევიდა, მათგან 8 კაცი მონაწილეობდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალში.

ერთი სიტყვით, აპოლონ ბერიძის ოჯახში სრული სპორტული ატმოსფერო სუფევდა, სპორტი ათბობდა და ალამაზებდა მისი ყოველი წევრის ცხოვრებას. აპოლონმა მეოთხე შვილიც წარმომიდგინა — 6 წლის შორენა. ალბათ შენც ნავით გაჯირითებას აპირებ-მეთქი, — ვკითხე. მამამ დამასწრო პასუხი:

— შორენას ტანვარჯიში უფრო იტაცებს. სავარჯიშო ფორმაც შემაძენინა. მაგრამ ჩვენთან, მცხეთაში მის სურვილს აღსრულება არ უწერია, არავითარი დარბაზი არ გაგვაჩნია ერთი საჭიდაოს გარდა. თუ გაჯიუტდა, ისევ თბილისში უნდა ვატარო. ეს პრაქტიკა მცხეთელებისთვის უცხო არ არის. ორმოცდაათამდე ახალგაზრდა, რომლებსაც აქ ვარჯიშის საშუალება არ აქვთ, თბილისში დადის.

დიახ, ამ ოჯახშიც წინ დამხვდა ის პრობლემა, რაზეც არაერთხელ თქმულა ოფიციალურ დაწესებულებებში: სპორტული ოჯახების სიმრავლე მარტო მშობლების შეგნებასა და სპორტისადმი შვილების სიყვარულზე არაა დამოკიდებული, მატერიალური ბაზაც გადამწყვეტ როლს თამაშობს. ხომ დაინახეთ, მარტო პატარა მცხეთაში ბავშვების რამდენი სურვილი რჩება დაუკმაყოფილებელი ამ მიზეზის გამო.

— მაგრამ ახლა ალბათ მდგომარეობა შეიცვლება, — იმედს არ კარგავს რაიონის ფიზკულტურელთა წინამძღოლი, — მცხეთის ქალაქ-მუზეუმად გამოცხადებას არ შეიძლება ერთი სპორტული დარბაზის მშენებლობაც არ მოყვეს. მაშინ ნახეთ როგორ იმრავლოს სპორტულმა ოჯახებმა!

ოღონდაც. ეს უკვე ოცნება კი არა, ხვალინდელი დღის რეალობაა. მით უმეტეს, რომ ახლა ჩვენს ხელთაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაფართოების შესახებ“. საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ გაშლამ არ შეიძლება უფრო არ ამრავლოს ჩვენში სპორტული ოჯახები.

მინდა ვირწმუნო, რომ გავა რამდენიმე წელი და ქართული სპორტული ოჯახების ჩამოსათვლელად თითები კი არა, ხუთნიშნა ციფრიც არ გვეყოფა!

**ავთანდილ ციბაძე.**

## ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

# შესანიშნავი დასაწყისი



(დასასრული)

რეთვე, როჩევი. იგი მეხუთე მიდიოდა — 28.52,51.

დარჩენილ 20 კილომეტრზე როჩევმა თითქმის შეუძლებელი შეძლო: გზის ორი მესამედის შემდეგ საფეხურით მაღლა აიწია, საბოლოოდ უკან ჩამოიტოვა კიდევ სამი მეტოქე, მათ შორის ლებანოვიც და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ზიმიატოვი კი სულ უფრო და უფრო ასწრებდა მოწინააღმდეგეებს: 20 კილომეტრის მერე ვასბერგს 39,38 წამს უგებდა, ლებანოვს — 41,57-ს. საბოლოოდ XIII ზამთრის ოლიმპიური თამაშების პირველი ოქროს მედალი მოიგო **ნიკოლოზ ზიმიატოვმა.**

როგორც ხედავთ, ოლიმპიადის დასაწყისი საბჭოთა მოთხილამურეებისთვის შესანიშნავი მოსავლით აღინიშნა.

გაგაცნობთ 6 უძლიერესს:
ნ. ზიმიატოვი — 1:27.02,80. ვ. როჩევი (ორივე — საბჭოთა კავშირი) — 1:27.34,22, ი. ლებანოვი (ბულგარეთი)— 1:28.09,87, ტ. ვასბერგი (შვეცია)—1:28.40,35, ი. ლუშჩიკი (პოლონეთი) — 1:29.03,64, მ. პიტკენენი (ფინეთი) — 1:29.35,03. ე. ბელიაევი XI ადგილზე გავიდა — 1:30.35,32, ხოლო ნ. ბაჟუკოვი (ორივე — სსრ კავშირი) მეთოთხმეტეზე — 1:31.06,28.

* * *

**სურათებზე:** თამაშების ჩემპიონი ნ. ზიმიატოვი დისტანციაზე; ვერცხლის პრიზიორი ვ. როჩევი.

**საქდესი-საქინფორმის** ტელეფოტო და **ვ. გალაქტიონოვის** ფოტო.



# ლიდერები და აუტსაიდერები

**ჰოკეისტთა** ოლიმპიურ ტურნირზე ქვეჯგუფებში გაიმართა მორიგი შეხვედრები, რის შემდეგ ერთგვარად გამოიკვეთნენ ლიდერები და აუტსაიდერები.

**„წითლების“** ქვეჯგუფში მორიგი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც იოლად დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი — 17:4. კანადელებმა სძლიეს პოლონელებს — 5:1. ახლა საბჭოთა და კანადელ ჰოკეისტებს — 4-4 ქულა აქვთ და ქვეჯგუფში ლიდერობენ. ამავე ქვეჯგუფში ფინელებმა იაპონელებთან შეხვედრა მოიგეს—6:3.

**„ლურჯების“** ქვეჯგუფში უაღრესად საინტერესო გამოდგა აშშ-სა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების „დუელი“. პირველმა. პერიოდმა უძლიერესი ვერ გამოავლინა— 2:2. მეორე პერიოდში ამერიკელებმა კიდევ ორი შაიბა გაიტანეს, ხოლო მატჩის დასასრულისთვის ამერიკელების უპირატესობა უკვე აშკარა იყო — 7:3. ჯერჯერობით ეს ყველაზე დიდი სენსაციაა თამაშებზე.

ამ ქვეჯგუფში შვედებმა დაამარცხეს რუმინელები — 8:0 და, ისე როგორც ამერიკელებს, 3 ქულა დაუგროვდათ. ქვეჯგუფში ეს გუნდები ლიდერობენ. გფრ-ისა და ნორვეგიის ჰოკეისტთა შეხვედრაში გერმანელებმა იმარჯვეს — 10:4.

# მოულოდნელობა

**სამთომოთხილამურეთა** ოლიმპიური პროგრამის პირველი სახეობა ვაჟების სწრაფდაშვება იყო. 3009-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 832 მეტრი) ნამდვილი მოულოდნელობა გახლდათ 22 წლის ავსტრიელი **ლ. სტოკის** გამარჯვება — 1.45,50. საქმე იმაშია, რომ ამ ქვეყნის სამთომოთხილამურეთა ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელობამ სტოკი ლეიკ-პლესიდში ჩამოიყვანა, როგორც სათადარიგო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში სწორედ მას ანდეს ქვეყნის ღირსების დაცვა და, როგორც ხედავთ, არც უსაფუძვლოდ, თუმცა სტოკიც რომ არ ყოფილიყო, „ოქრო“ მაინც ავსტრიაში წავიდოდა. საქმე იმაშია, რომ აქ მეორე ადგილიც წინა ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელს პ. ვირნსბერგერს (1.46,12) ერგო.

მესამე ადგილზე გავიდა კანადელი ს. პოდბორსკი—1.46,62.

საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო გახლდათ მონჩეგორსკელი ვ. ციგანოვი. მან VIII ადგილი დაიკავა — 1.47,34. კემეროველი ვ. მაკეევი ფინიშთან XXII იყო — 1.49,87.

უკანასკნელ საათს

## ნატალია პეტრუსოვას „ბრინჯაო“

**ლეიკ-პლესიდი. 15 თებერვალი (საქდესის სპეც. კორ.).** ქალთა შორის მოციგურავეთა სპრინტში — 500 მეტრზე XIII ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი მოიპოვა 18 წლის მოსწავლემ **კარინ ენკემ** (გდრ)— 41,78. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა 28 წლის ამერიკელი სპორტსმენი **ლია მიულერი**—42,26. მსოფლიო ჩემპიონმა მოსკოველმა **ნ. პეტრუსოვამ** „ბრინჯაო“ მიიღო — 42,42. სამივე მოციგურავის შედეგი ოლიმპიურ რეკორდს სჯობნის.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**როგორც** კი ცნობილი გახდა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფების შემადგენლობანი, ინგლისელი ბუკმეკერები, რომელთა ბიზნესია საფეხბურთო ლატარია, მაშინვე შეუდგნენ საქმიანობას. ყველაზე მაღლა ფასობს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონების — ბრაზილიელების შანსები — 5:1. შეჯიბრების ორგანიზატორების — ესპანელებისა და მსოფლიო ჩემპიონების — არგენტინელების განაკვეთი ერთნაირია — 6:1. შემდგომი ადგილები ასე ნაწილდება: გფრ, იტალია და ჰოლანდია — 8:1, ინგლისი — 14:1, შოტლანდია — 40:1 და სხვ.

**მსოფლიოს** ექს-ჩემპიონები — ინგლისელი ფეხბურთელები დიდ იმედებს ამყარებენ მომავალ ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც მთავარ სარეაბილიტაციო მიზნად ისახავენ. ინგლისელთა მთავარმა მწვრთნელმა რ. გრინვუდმა შეიმუშავა კონტინენტის ჩემპიონატისთვის უშუალო მზადების კონკრეტული გეგმა. მას განზრახული აქვს 13 მაისს ამხანაგურ მატჩში შეხვდეს არგენტინის ნაკრებს. თამაში შედგება „უემბლის“ ცნობილ სტადიონზე ლონდონში.

**პრესაში** არაერთხელ გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ „ოქროს ბურთის“ ორგზის მფლობელი ინგლისელი ფეხბურთელი კ. კიგანი ტოვებს გფრ-ის „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ და სხვაგან აპირებს გადასვლას. მაგრამ სად? აი, ეს საკითხი აინტერესებს საფეხბურთო წრეებს.

ჟურნალისტთა შეკითხვებზე კ. კიგანმა უპასუხა: „სარფიანი წინადადებები მაქვს ესპანეთის „ბარსელონადან“ და ლონდონის „ჩელსიდან“. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ვფიქრებ.

**აბიჯანში** (სპილოს ძვლის ნაპირი) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომლის ფინალშიც ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთის „სენტ-ეტიენი“ და „ნანტი“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „სენტ-ეტიენმა“.

**1982** წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი, ესპანელი რაიმონდო საპორტა რჩება თავის პოსტზე, თუმცა ადრე არაერთხელ გამოქვეყნდა ცნობა მისი გადადგომის თაობაზე. ეს გადაწყდა უმაღლეს, სახელმწიფო დონეზე ჩატარებული კონსულტაციების შემდეგ. რ. საპორტა ახალი განცხადებით გამოვიდა საზოგადოებრიობის წინაშე: „ეს ჩემპიონატი ყველაზე უფრო საუკეთესოდ იქნება ორგანიზებული ყველა წინანდელთან შედარებით“.

**ცნობილმა** უნგრელმა ფეხბურთელმა, ეროვნული ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ტერეჩიკმა მაისში მძიმე ტრავმა მიიღო და ექიმებმა მისი სპორტული კარიერა დამთავრებულად ჩათვალეს. „ბუდაპეშტის ქუჩებში სიარული მას შეუძლია, მაგრამ ფეხბურთის მინდორზე გამოსვლა წარმოუდგენელია“, — წერდნენ უნგრულ გაზეთებში.

ეს დასკვნები, ცოტა არ იყოს, ნაადრევი გამოდგა. ახლა ტერეჩიკი კვლავ თამაშობს თავის კლუბ „უიპეშტ-დოჟაში“.

## ● კალათბურთი

### ფინიშის სწორზე

**კიევში** მიმდინარე კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე დღეს თბილისის „დინამოს“ წარუმატებლობის შესახებ უკვე ვიტყობინებოდით. დანარჩენმა შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ვეფ-ი (რიგა) 88:93 (49:47), ცსკა — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 96:92 (43:51), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „კალევი“ (ტალინი) 94:89 (55:44), რტი (მინსკი) — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) 89:81 (43:41), „დინამო“ (მოსკოვი) — „სტროიტელი“ (კიევი) 109:88 (46:44).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 თებერვლისთვის

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 18 | 1 | 1992—1501 | 37 |
| „დინ.“ მ. | 14 | 5 | 2007—1832 | 33 |
| „ჟალგირ.“ | 14 | 5 | 1748—1689 | 33 |
| „სპარტაკი“ | 11 | 8 | 1587—1525 | 30 |
| ასკ კ. | 11 | 8 | 1906—1991 | 30 |
| „დინ.“ თბ. | 10 | 9 | 1624—1691 | 29 |
| ვეფ-ი | 9 | 10 | 1837—1803 | 28 |
| „სტატიბა“ | 9 | 10 | 1718—1746 | 28 |
| „სტროიტ.“ | 6 | 13 | 1657—1761 | 25 |
| რტი | 5 | 14 | 1643—1704 | 24 |
| „კალევი“ | 5 | 14 | 1597—1692 | 24 |
| „ლოკომ.“ | 2 | 17 | 1595—2066 | 21 |

### უკანასკნელ საათს

საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე დღეს თბილისის „დინამო“ ლენინგრადის „სპარტაკს“ შეხვდა და გაიმარჯვა — **68:60.**

## ● მაგიდის ჩოგბურთი

### კვლავ უძლიერესთა შორის

**სსრ კავშირის** მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრებმა ევროპული ლიგის პირველობის (II ჯგუფი) გათამაშებაში კიშინიოვში დაამარცხა ლუქსემბურგის გუნდი— 7:0. ეს იყო საბჭოთა სპორტსმენების მეექვსე გამარჯვება, რომელმაც თურქეთის ჩოგბურთელებთან დასკვნითი შეხვედრის შედეგის მიუხედავად, მათ ამ ტურნირში პირველი ადგილი და უძლიერესი ევროპული გუნდების ჯგუფში დაბრუნების უფლება მოუტანა.

უნგრეთის ნაკრებმა პრაღაში მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს— 5:2, მოაგროვა ექვს ტურში 6 ქულა და მიუწვდომელი გახდა ევროპული ლიგის პირველი ჯგუფის ჩემპიონატის სხვა მონაწილეთათვის.

## ● ჭადრაკი

### ფინალის საგზურებისთვის

**სამტრედია, 15 თებერვალი (ჩვენი სპეც. კორ.).** აქ საჭადრაკო კლუბში მეორე კვირაა მიმდინარეობს ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალი.

ტურნირში მონაწილეობენ გ. ალიხანაშვილი (თბილისი), ე. ფახიროვა, ი. ამბროლაძე, ლ. შანიძე, გ. ლაგვილავა, ი. კურცხალია, ა. ეფრემიძე (ყველა — ქუთაისი), ქ. არახამია (აფხაზეთი), მ. ჩაჩიბაია, ნ. გოგია (ორივე — ცხაკაია), ვ. ბასილიძე, მ. დიდებელი (ორივე — გორი), მ. დოლბაია (ცაგერი), ზ. ხვედელიძე, ი. სალდაძე, მ. გოგიშვილი (სამივე— სამტრედია).

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ ფახიროვა — 7,5 და ალიხანაშვილი — 7. მათ კვალში მიჰყვებიან ლაგვილავა და სალდაძე — 6-6.

ფახიროვამ ზედიზედ შვიდი მეტოქე დაამარცხა და მხოლოდ VIII ტურში დაჯერდა ყაიმს ლაგვილავასთან. ალიხანაშვილმა სტარტი წაგებით (ამბროლაძესთან) აიღო, მერე ზედიზედ შვიდი პარტია მოიგო. საინტერესოა, რომ ლიდერები მხოლოდ დასკვნით ტურში შეხვდებიან ერთმანეთს.

ტურნირი 22 თებერვლამდე გაგრძელდება. ნახევარფინალში I-III ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ჩემპიონატის ფინალში (წულუკიძე, 6-27 მაისი).

**ა. მაჩიტიძე,**
მთავარი მსაჯი.

### ლიდერობს საგარეჯოელი ეტიუდისტი

**ქუთაისი, 15 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის მასობრივ ტურნირში კიდევ ორი (IV-V) ტურის შეხვედრები გაიმართა. ყურადღების ცენტრში ლიდერთა პარტიები იყო.

IV ტურში გაიმარჯვეს ჯ. ბერაძემ (წყალტუბო), კ. შავგულიძემ (ქუთაისი) და ეტიუდისტმა დ. გურგენიძემ (საგარეჯო). პირველმა სძლია ი. მანაშეროვს (ხაშური), რომელმაც უხეში შეცდომით ლაზიერი დაკარგა, მეორემ — თანაქალაქელ გ. გიორგაძეს, მესამემ — მოუგო თამილა მესხს. მანამდე ბერაძემ დაამარცხა ა. ბლიუმგარდი (ქუთაისი), ხოლო შავგულიძემ — ე. გველესიანი (რუსთავი), ე. ბაირამოვმა (დმანისი) გაიმარჯვა მ. მაკენიჩთან (კასპი) შეხვედრაში.

V ტურში გურგენიძემ ფარხმალი დააყრევინა ბაირამოვს, გ. გიორგაძემ — ბ. ხეცურიანს (თბილისი). ყაიმით დასრულდა ბერაძე — შავგულიძის შეხვედრა.

ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა რ. კაპანაძემ (თბილისი), ამჯერად — ტ. ვალიევთან (სამხრეთ ოსეთი). ი. პაპავაძემ (მცხეთა) მოუგო ტ. ლემონჯავას (ჩხოროწყუ).

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: დ. გურგენიძე — 5 ქულა, ჯ. ბერაძე, კ. შავგულიძე — 4,5-4,5, გ. გიორგაძე, რ. კაპანაძე და ი. პაპავაძე — 4-4.

**ზ. ბურკაძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

## ● ხელბურთი

### სამი ტურის შემდეგ

**სსრ კავშირის** ხელბურთელთა ჩემპიონატის მონაწილე ვაჟთა გუნდებმა დაამთავრეს მეორე წრის III ტურის მატჩები.

**მინსკის** ქვეჯგუფში მოასპარეზეთა შეხვედრებში ასეთი შედეგები აღინიშნა: ფისკ (კრასნოდარი) — „კრისტალი“ (ტაშკენტი) — 38:22 (18:16), ასკ (ლვოვი) — ცსკა 20:26 (11:16), ასკ (კიევი) — ასკ (მინსკი) 24:20 (10:11).

**კაუნასის** ქვეჯგუფში მაი-ს ხელბურთელებმა დაამარცხეს ზიი (ზაპოროჟიე) — 27:21 (10:14), „გრანიტასმა“ (კაუნასი) ფრედ— 18:18 (8:7) დაამთავრა შეხვედრა „კუნცევოსთან“. თბილისის „ბურევესტნიკმა“ მოუგო ჩელიაბინსკის „პოლიოტს“ — 31:22 (14:9).

ამრიგად, III ტურის შემდეგ გუნდების მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ასეთია: ცსკა— 29 ქულა (32 შესაძლებლიდან), მაი — 23, ფისკ — 21, „ბურევესტნიკი“ — 20, „გრანიტასი“ და ასკ (მინსკი) — 19-19, ასკ (კიევი) — 17, „კუნცევო“— 16, ზიი — 15, ასკ (ლვოვი) —5, „პოლიოტი“ და „კრისტალი“— 4-4 ქულა.

23 თებერვლიდან თორმეტივე გუნდი ბრძოლას ჩელიაბინსკში განაგრძობს.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

### თბილისის ბაზებზე

**სასტენდო სროლა. 17 თებერვალი.** ვარკეთილის სასროლეთი. **ქალაქის თასის** გათამაშება. დასაწყისი 11 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 02058